

## საქართველოს კანონი

### „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონში (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 5.08.1998) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

#### 1. მე-2 მუხლის:

ა) „გ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ბ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) სასაზღვრო ინციდენტი – საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე საქართველოს მოქალაქეებსა და მოსაზღვრე სახელმწიფოს სასაზღვრო ფორმირებებს შორის ან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოსთან და მოსაზღვრე სახელმწიფოს მოქალაქეებს შორის კონფლიქტი, რომელიც შეიძლება შეიარაღებული ხასიათის იყოს.“

#### 2. ამოღებულ მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.

#### 3. მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. სასაზღვრო-გამგარი პუნქტების ფარგლებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან შეთანხმებით აღგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს პრეზიდენტს.“

#### 4. მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მოსამსახურეები პირს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გააგარებენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტისა და გრანსპორტზე, ცხოველზე, გვირთსა და სხვა ქონებაზე სათანადო დოკუმენტების წარდგენის შემდეგ.“

#### 5. მე-18 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. უცხო სახელმწიფოს სპეციალური დანიშნულების გემი, რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს, საქართველოს პორტებსა და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის ნებართვის მისაღებად დიპლომატიური არხებით შუამდგომლობას აღძრავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს წინაშე შემოსვლამდე არა უგვიანეს 14 დღისა. შუამდგომლობაში მითითებული უნდა იყოს გემის სახელწოდება, ტიპი, ბორტზე მყოფ მგზავრთა სია და სხვა მონაცემები, რომლებიც გათვალისწინებულია „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო თავის გადაწყვეტილებას აცნობებს გემის მფლობელს (მის წარმომადგენელს) შემოსვლამდე არა უგვიანეს 7 დღისა. ეს

მოთხოვნები არ ვრცელდება იმ გემებზე, რომლებიც ახორციელებენ სამაშველო ან ზღვის დაბინძურების სალიკვიდაციო სამუშაოებს.“

**6. მე-20 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. თუ უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემი არ აცნობებს საქართველოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციას საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში იძულებითი შემოსვლისა და ყოფნის ან ცურვის წესების იძულებითი დარღვევის თაობაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო დამოუკიდებლად ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ღრობით აკავებს ამ გემს აღნიშნული წესების დარღვევის გამომწვევ გარემოებათა შესამოწმებლად. თუ აღმოჩნდა, რომ გემის მიერ საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის, ყოფნის ან ცურვის წესების დარღვევას არა აქვს გამამართლებელი საფუძველი, მის მიმართ გამოიყენება ამ კანონის 36-ე, 37-ე და 38-ე მუხლებით გათვალისწინებული იძულებითი ღონისძიებები.

4. თუ უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან ატომური გემი არ აცნობებს საქართველოს უახლოესი პორტის ადმინისტრაციას საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში იძულებითი შემოსვლისა და ყოფნის ან ცურვის წესების იძულებითი დარღვევის თაობაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო დამოუკიდებლად ან, საჭიროების შემთხვევაში, სხვა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სახელმწიფო ორგანოებთან ერთად ღრობით აკავებს ამ გემს აღნიშნული წესების დარღვევის გამომწვევ გარემოებათა შესამოწმებლად. თუ არ არსებობს საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში უცხო სახელმწიფოს სამხედრო ან ატომური გემის იძულებითი შემოსვლის გამომწვევი გარემოებები და ასეთი შემოსვლა მიზნად ისახავდა ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ ქმედებებს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო ან, საჭიროების შემთხვევაში, მისი მოწვევით საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალები აკავებენ სამხედრო ან ატომურ გემს და საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოები დიპლომატიური არხებით აწარმოებენ მოლაპარაკებას გემის მფლობელ ქვეყანასთან.“

**7. 25-ე მუხლის:**

**ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„4. სასაზღვრო ზოლის ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა. ამ მონაკვეთზე ისტორიული და მაგერიალური კულტურის ძეგლებს, ფლორასა და ფაუნას იცავს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო შესაბამისი სახელმწიფო უწყებების უშუალო მონაწილეობით.“

**ბ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„6. სასაზღვრო ზოლის რეჟიმი არ ვრცელდება დასახლებულ პუნქტებზე. მოსახლეობის დასვენების ადგილებში სასაზღვრო ზოლის რეჟიმი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მიერ სპეციალურად დადგენილ ტერიტორიაზე.“

**8. 28-ე და 29-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 28. სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

1. სასაზღვრო ზონაში სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის დაცული უნდა იყოს ამ კანონის 26-ე და 27-ე მუხლების მოთხოვნები. პირმა, რომელიც აპირებს ასეთ საქმიანობას, ამის შესახებ უნდა შეაგყობინოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს. შეგყობინებაში მითითებული უნდა იყოს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხასიათი, ტექნოლოგია და ტექნიკური საშუალებები, აგრეთვე სამუშაოთა წარმოების ადგილი, ღრო და ხანგრძლივობა, მონაწილეთა რაოდენობა და პასუხისმგებელი პირი.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს უფლება აქვს ამ კანონის 33-ე მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში აღნიშნული საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების დასკვნის საფუძველზე აუკრძალოს პირს სამეურნეო, სარეწი და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, თუ მან შეგყობინებაში მიუთითა არასწორი მონაცემები და სამუშაოთა წარმოება ზიანს აყენებს გარემოს ან ადამიანთა ჯანმრთელობას.

მუხლი 29. საქართველოს გერიგორიულ მღვაში, შიდა საზღვაო წყლებში, პორტებსა და ბაზირების სხვა პუნქტებში არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების აღრიცხვის, ყოფნისა და ცურვის წესები

საქართველოს გერიგორიულ მღვაში, შიდა საზღვაო წყლებში, პორტებსა და ბაზირების სხვა პუნქტებში არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების აღრიცხვის, ყოფნისა და ცურვის წესებს აკონტროლებს „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესაბამისად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო.“

### 9. 30-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სასაზღვრო რეჟიმს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე არსებულ სასაზღვრო გამგარ პუნქტებში „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესის“ შესაბამისად აღგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო საბაჟო კონტროლის ორგანოებთან შეთანხმებით. იმ ადგილებსა და შენობებში, სადაც ხორციელდება სასაზღვრო კონტროლი, ღვინდება დამაგებითი სარეჟიმო წესები, რომლებიც არეგულირებს საზღვარგარეთიდან შემომსვლელ პირთა და ტრანსპორტის კონტროლს, აგრეთვე მომსახურე პერსონალის დაშვების პრინციპებს.

3. საერთაშორისო მიმოსვლისათვის განკუთვნილ გზებზე წესდება და ამ კანონის მე-13 მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებით დადგენილი წესით საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე შენდება და იხსნება სასაზღვრო გამგარი პუნქტები.“

### 10. 32-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს საზღვრის დაცვა ხმელეთზე, გერიგორიულ და შიდა საზღვაო წყლებში, აგრეთვე სახელმწიფო საზღვარზე არსებულ საერთაშორისო სასაზღვრო გამგარ პუნქტებში ევალება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს, ხოლო საჰაერო სივრცეში – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო თავდაცვის ძალებს.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო თავდაცვის ძალები სახელმწიფო საზღვრის დაცვისას ხელმძღვანელობენ

საქართველოს კანონმდებლობით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით.“

**11. 34-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს სახელმწიფო სასაზღვრო პოლიტიკის განსახორციელებლად და სასაზღვრო რეჟიმის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადასაწყვეტად, აგრეთვე სასაზღვრო ინციდენტების მოსაგვარებლად საზღვრის გარკვეულ უბნებზე „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ნიშნავს, უფლებამოსილებებს განუსაზღვრავს და საქართველოს პრეზიდენტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს სასაზღვრო წარმომადგენლებს – სასაზღვრო კომისრებს.“

**12. 35-ე, 36-ე და 37-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 35. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანოების უფლებამოსილებანი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ ორგანოებს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე, სასაზღვრო ზონაში და სასაზღვრო ზოლში, საზღვაო სივრცესა და სასაზღვრო გამგარ პუნქტებში აქვს შემდეგი უფლებამოვალეობანი:

ა) გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში ღრობით შეზღუდოს ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრების უფლება შემდგომი კომპენსაციით სახელმწიფოს ხარჯზე;

ბ) „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ დადგენილ შემთხვევებში განათავსოს გემზე სასაზღვრო ბაღრაგი, გემის პორტში ან პორტიდან საქართველოს სახელმწიფო საზღვრამდე გაცილების მიზნით;

გ) ამ მუხლის „ბ“, „თ“, „ი“, „ფ“ და „ჰ“ ქვეპუნქტებში მითითებული პირები გადასცეს საგამოძიებო ორგანოებს, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

დ) განახორციელოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციით გათვალისწინებული „ცხელ კვალზე ღვევის უფლება“;

ე) დაიცვას საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, დადგენილი სასაზღვრო ნიშნები, სხვა სასაზღვრო შენობა-ნაგებობები და ობიექტები;

ვ) აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო შეცვლის ნებისმიერი მცდელობა;

ზ) მოიგერიოს შეიარაღებული ჯგუფების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის მცდელობა ან სხვა სახის პროვოკაცია, სასაზღვრო ზონასა და სასაზღვრო ზოლში დაიცვას სახელმწიფო და მოქალაქეთა კერძო საკუთრება ამგვარი ხელყოფისაგან;

თ) თავიდან აიცილოს და აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირის უკანონოდ გადაადგილება, აგრეთვე გრანსპორტის, გვირთისა და სხვა ქონების უკანონოდ გადაგანა;

ი) გამოავლინოს და დააკავოს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დამრღვევი;

კ) საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გააგაროს პირი, გრანსპორტი, გვირთი და სხვა ქონება საზღვრის გადაკვეთისათვის საჭირო სათანადო წესით გაფორმებული დოკუმენტების წარდგენისას;

ლ) სათანადო წესით მოუაროს და დაიცვას სასაზღვრო გამგარი პუნქტები და სხვა სასაზღვრო ობიექტები;

მ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამოუკიდებლად ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან და ამ კანონის 33-ე

მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად აღკვეთოს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე ფეთქებადი, მომწამვლელი, რადიაქტიური და ნარკოტიკული საშუალებების, იარაღისა და საბრძოლო მასალის, აგრეთვე კონტრაბანდული და სხვა აკრძალული საგნების გადაადგილება და გადატანა;

ნ) ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოს სასაზღვრო რეჟიმის დაცვა;

ო) უზრუნველყოს სახელმწიფო საზღვართან დაკავშირებული საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება;

პ) გააკონტროლოს სასაზღვრო რეჟიმი დამოუკიდებლად ან ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ორგანოებთან ერთად, აეროპორტებში (აეროდრომებზე), რკინიგზის სადგურებში, პორტებში, საერთაშორისო საავტომობილო გზების სასაზღვრო გამგარ პუნქტებში;

ჟ) გააკონტროლოს საქართველოსა და უცხო სახელმწიფოთა არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის, ყოფნისა და ცურვის დადგენილი წესების შესრულება;

რ) შეაჩეროს, დააკავოს, შეამოწმოს და დარღვევის აღსაკვეთად მიიღოს აუცილებელი ზომები უცხო სახელმწიფოს არასამხედრო, სამხედრო და ატომური გემების მიმართ, თუ მათ დაარღვიეს ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ტერიტორიული ზღვის მიმდებარე ზონის რეჟიმი;

ს) დაეხმაროს სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოებს ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებაში, სარეწ საქმიანობასა და ეკოსისტემის დაცვაში, აგრეთვე სასაზღვრო ზონაში სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციასა და ხანძრის ჩაქრობაში;

ტ) განათავსოს საზღვრის დაცვის საგუშაგოები საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე;

უ) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას შეუზღუდავად გადაადგილდეს სასაზღვრო ზონაში, შეამოწმოს დოკუმენტები, გააკონტროლოს გრანსპორტი და გვირთი;

ფ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დააკავოს და ღროებითი პატიმრობის ადგილას მოათავსოს პირი, თუ მან დაარღვია საქართველოს კანონმდებლობა, რაც იწვევს აღმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას;

ქ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიწვევით და მასთან ერთად შეამოწმოს გრანსპორტი, გვირთი და სხვა ქონება;

ღ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ფინანსთა სამინისტროს შესაბამის სამსახურთან ერთად ამოიღოს საგნები, რომელთა შემოტანა ან გატანა აკრძალულია, აღკვეთოს კონტრაბანდა.

ყ) საქართველოში შემომსვლელ მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს მოსთხოვოს და შეამოწმოს პირადობის და საქართველოში შემოსვლის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტები, შეიგანოს მათში შესაბამისი აღნიშვნები;

შ) არ გააგაროს საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე პირი, რომელსაც არა აქვს ამ მუხლის „ყ“ ქვეპუნქტში აღნიშნული დოკუმენტები;

ჩ) აუკრძალოს ნაპირზე ჩამოსვლა და ყოფნა უცხო სახელმწიფოს გემის ეკიპაჟის წევრებს და გემზე მყოფ სხვა პირებს, რომლებმაც ჩაიღინეს სამართალდარღვევა საქართველოს შიდა საზღვაო წყლებსა და პორტებში, ტერიტორიულ ზღვაში და მიმდებარე ზონაში ყოფნისა და ცურვის დროს;

ც) საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში და შიდა საზღვაო წყლებში საქართველოს ან უცხო სახელმწიფოს გემს მოსთხოვოს სახელმწიფო დროშის აღმართვა;

დ) აწარმოოს გამოკითხვა საქართველოს ტერიტორიულ მლვაში და შიდა საზღვაო წყლებში გემის ან სხვა სანაოსნო საშუალების შემოსვლის მიზნის შესახებ;

წ) შესთავაზოს არასამხედრო ან სამხედრო გემს ანდა სხვა სანაოსნო საშუალებას, შეცვალოს კურსი, თუ მას გემი აღებული აქვს ნაოსნობისათვის დახურული მონისაკენ ან არ იცავს დადგენილ სანავიგაციო გზებს და მოძრაობის გამიჯვნის სქემებს;

ჭ) გააჩეროს და შეამოწმოს არასამხედრო ან სამხედრო გემი ანდა სხვა სანაოსნო საშუალება, თუ იგი არ უპასუხებს გამოკითხვის სიგნალს, იმყოფება ნაოსნობისათვის დახურულ მონაში, არღვევს საქართველოს ტერიტორიულ მლვაში და შიდა საზღვაო წყლებში შემოსვლის, ყოფნისა და ცურვის წესებს, გემი აღებული აქვს ნაოსნობისათვის დახურული მონისაკენ ან არ იცავს დადგენილ სანავიგაციო გზებს და მოძრაობის გამიჯვნის სქემებს, აგრეთვე თუ ეწევა ამ კანონის 21-ე მუხლით აკრძალულ საქმიანობას;

ხ) განსაკუთრებულ ეკონომიკურ მონაში და კონტინენტურ შეღებვ დაიცვას საქართველოს ხელოვნური კუნძულები, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა სახის დანადგარები და ნაგებობები;

ჯ) განსაკუთრებულ ეკონომიკურ მონაში და კონტინენტურ შეღებვ განახორციელოს კონკრული და მიიღოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1982 წლის საზღვაო სამართლის კონვენციით დადგენილი მომები უცხო სახელმწიფოთა და უკანონო სამეცნიერო-კვლევითი ან სარეწი საქმიანობის აღსაკვეთად და მღვის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად;

ჰ) ჩადენილი დანაშაულისათვის ჩამოიყვანოს და დააკავოს უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემის ეკიპაჟის წევრები და გემზე მყოფი სხვა პირები, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

ჰ<sup>1</sup>) ეწეოდეს სხვა საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვასთან, ამ კანონით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებულ შემთხვევებში;

ჰ<sup>2</sup>) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო საზღვრის მიმდებარე რეგიონებისა და სოფლების სოციალურ-ეკონომიკურ და მაგერიალურ-კულტურულ განვითარებაში.

**მუხლი 36. საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემების დაკავების საფუძველი**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო საქართველოს ტერიტორიულ მლვაში და შიდა საზღვაო წყლებში მყოფ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს არასამხედრო გემებს აკავებს და ბაღრაგის თანხლებით გზავნის უახლოეს პორტში ან სხვა შესაბამის პუნქტში, თუ:

ა) გემი იმყოფება დადგენილი წესის შესაბამისად ნაოსნობისათვის დახურულ მონაში, გემი აღებული აქვს ნაოსნობისათვის დახურული მონისაკენ ან არ იცავს დადგენილ სანავიგაციო გზებს და მოძრაობის გამიჯვნის სქემებს;

ბ) გემში პირთა ჩასხდომა-გადმოსხდომა, აგრეთვე გვირთის ჩაგვირთვა-გადმოგვირთვა ხდება იმ ადგილებში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“;

გ) გემი უკანონოდ ეწევა სარეწ, კვლევით ან ჰიდროგრაფიულ საქმიანობას, ყრის ან მარხავს ადამიანის ჯანმრთელობისათვის ან წყლის ცოცხალი რესურსებისათვის მავნე ნივთიერებებსა და დამაბინძურებელ ნარჩენებს, მასალებს ანდა მის სხვა მოქმედებას ზიანი მოაქვს საქართველოსათვის;

დ) საქართველოს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანოების ნებართვის გარეშე ხდება გემბანიდან ნებისმიერი სახის საფრენი აპარატის აფრენა ან გემბანზე დაფრენა;

ე) გემის კაპიტანი არ წარადგენს გემის, გვირთის, მგზავრებისა და სხვა აუცილებელ დოკუმენტაციებს;

ვ) გემი არ ემორჩილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენელთა ან ამ კანონის 33-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“ გათვალისწინებულ უფლებამოსილ ორგანოთა განკარგულებებს;

ზ) გემი არღვევს ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით დადგენილ წესებს, საერთაშორისო სამართლის ნორმებს.

**მუხლი 37. არასამხედრო გემის შემოწმებისა და დაკავების ოქმი**

1. არასამხედრო გემის შემოწმების ან დაკავების შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს წარმომადგენლები და შემოწმებული ან დაკავებული გემის კაპიტანი.

2. გემის დაკავების შემთხვევაში კაპიტანს ჩამოერთმევა გემისა და გვირთის დოკუმენტები და ისინი დაერთვის ოქმს. თუ შემოწმებული ან დაკავებული გემის კაპიტანს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს მოქმედება არამართებულად მიაჩნია, ან არ ეთანხმება ოქმის შინაარსს, მას უფლება აქვს ნებისმიერ ენაზე გააკეთოს შენიშვნა თვით ოქმში ან ოქმისათვის დართულ დოკუმენტზე.

3. თუ გემის კაპიტანი ხელს არ აწერს ოქმს, მასში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.“

**13. 40-ე მუხლის:**

**ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო თავდაცვის ძალები სახელმწიფო საზღვრის დაცვისას საქართველოს ტერიტორიაზე შეიარაღებული შემოჭრის მოსაგერიებლად, საჰაერო და სანაოსნო გრანსპორტის საზღვარგარეთ გაგაცემის მცდელობის აღსაკვეთად (თუ მასში მგზავრები არ იმყოფებიან) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით იყენებენ იარაღსა და საბრძოლო ტექნიკას.

**ბ) მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ე) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოზე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო თავდაცვის ძალების ქვედანაყოფებსა და ობიექტებზე თავდასხმის, მათ შორის, სანაოსნო საშუალებასა და საჰაერო ხომალდზე შეიარაღებული თავდასხმის, აღსაკვეთად.“

**გ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„10. სრულ სიას სპეციალური საშუალებებისა, რომლებიც შედის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანოს შეიარაღებაში, განისაზღვრება საქართველოს საკანონმდებლო აქტებით და „სახელმწიფო საზღვრის რეჟიმისა და დაცვის წესით“.“

**14. 42-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„მუხლი 42. ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე უცხო სახელმწიფოს აგომურ, სამხედრო ან სპეციალური დანიშნულების გემს, რომელიც სახელმწიფო დავალებას ასრულებს, საქართველოს ტერიტორიულ ზღვაში მშვიდობიანი გავლა შეუძლია იმ შემთხვევაში, თუ ამის შესახებ შემოსვლამდე 48 საათით ადრე დიპლომატიური არხებით შეაგყობინებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალ უფლებამოსილ ორგანოს. შეგყობინებაში მითითებული უნდა იყოს გემის სახელწოდება, ტიპი, სხვა ნიშნები, შემოსვლისა და გასვლის ადგილი და დრო. გავლის ნებართვას გასცემს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი უფლებამოსილი ორგანო. ეს მოთხოვნები არ ვრცელდება იმ გემებზე, რომლებიც მონაწილეობენ ადამიანთა გადასარჩენად წარმოებულ სამაშველო სამუშაოებში.“

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2009 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი